

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის
მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში

საკრებულოს წევრი (თანამდებობის პირი)	თინათინ ხანჯალიაშვილი
თანამდებობის დასახელება	თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე
ფრაქციის დასახელება	„ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველო“
კომისიის დასახელება	ეკონომიკის და ქონების მართვის საკითხთა კომისია, სამანდატო, საპროცედურო და იურიდიული კომისია

არჩევის წესი (მაჟორიტარული ოლქის მითითებით) პროპორციული

საანგარიშო პერიოდი	2022 წლის 31 ოქტომბრიდან 2023 წლის 31 ოქტომბრამდე.
ანგარიშის ტიპი (რიგითი, რიგგარეშე)	რიგითი

1. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა

- 1.1 სულ საკრებულოს სხდომების რაოდენობა 14
საკრებულოს სხდომებზე დასწრება 13

- 1.2 სულ კომისიის სხდომების რაოდენობა მ/შ დროებითი სამუშაო ჯგუფებისა და კომისიების
კომისიის სხდომებზე დასწრება მ/შ დროებით სამუშაო ჯგუფებში და კომისიების-

საანგარიშო პერიოდში ჩატარებულია ეკონომიკის და ქონების მართვის საკითხთა კომისიის 12 სხდომა, დავესწარივე 12-ს;
როგორც სამანდატო, საპროცედურო და იურიდიული კომისიის წევრი, 12 სხდომიდან დასწრებული ვარ 11 სხდომას.

- 1.3 სულ ფრაქციის სხდომების რაოდენობა -4
ფრაქციის სხდომებზე დასწრება - 4

1.4. საკრებულოს წევრის მიერ ინიცირებული საკითხები:

- თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში ისეთი ახალი პროგრამების ინიცირება, როგორცაა „ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების პროგრამა“, „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის პროგრამა“, „დედათა და ბავშვთა ფსიქოლოგიური მხარდაჭერის პროგრამა“, „მარტოხელა მშობლების მხარდაჭერის პროგრამა“ და თანამონაწილეობა სხვა პროგრამების ინიცირებაში.

ასევე, ვიმუშავეთ თელავის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდების და ჯილდოს შემოღების, მინიჭების წესის და საპატიო წოდების სიგელის ფორმაზე. დავაინიცირეთ ერთი ახალი წოდება და ერთი ახალი ჯილდო - „წლის თელაველის“ წოდება და „ქეთევან იაშვილის სახელობის ჯილდო“.

ინიცირებული საკითხებიდან მიღებულ იქნა -- 1 --- განკარგულება - „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის პროგრამა“ და 1 დადგენილება თელავის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდების და ჯილდოს შემოღების, მინიჭების წესის და საპატიო წოდების სიგელის ფორმის დამტკიცების შესახებ.

1.5. საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები -----

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „თელავის ექსტრემალური სპორტის კლუბისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემა;
2. თელავის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდების და ჯილდოს შემოღების, მინიჭების წესის და საპატიო წოდების სიგელის ფორმის დამტკიცების შესახებ დადგენილება;
3. ადგილობრივ ბიუჯეტში წარჩინებული მოსწავლეების დაჯილდოებისთვის ფულადი სახსრების გამოყოფა;
4. მერიის მიერ ინიცირებული სხვადასხვა ინფრასტრუქტურული და სოციალური პროგრამები.
5. მდგრადი განვითარების მიზნების თელავის მუნიციპალური დოკუმენტის დამტკიცების შესახებ განკარგულება.

1.6. ის საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა -----

1.7. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა -12-

და შეხვედრებზე დამსწრე მოქალაქეთა რაოდენობა --136-

1.8. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები ----- შშმ პირების დასაქმებისთვის სოციალური საწარმოს ასაშენებლად ფართის მოძიება, მიუსაფარი ცხოველების პრობლემა, ქალ მეწარმეთათვის მუდმივმოქმედი საგამოფენო ბაზრობის მოწყობის მხარდაჭერა, იმ სტუდენტების მხარდაჭერა სტიპენდიით, რომლებიც საზღვარგარეთ სწავლობენ, 30-40 წლის ქალებისთვის ძუძუს სკრინინგის დაფინანსება.

1.9. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის, დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები)

აღმასრულებელი ხელისუფლების მიმართ გაკეთებული წერილობითი სარეკომენდაციო სახის წინადადებები (2 რეკომენდაცია) -

1. რეკომენდაცია მერიის მიერ წარმოადგენილი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების საქართველოს კანონმდებლობასთან მოყვანის შესახებ;
2. რეკომენდაცია პროექტზე, რომელიც ითვალისწინებდა თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მარიამ ბუღდიაშვილისთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

2. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა

- საანგარიშგებო პერიოდში, ვიყავი თელავის მუნიციპალიტეტის მერიის 2024-2027 წლების საშუალოვადიანი საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შემუშავებასთან დაკავშირებული სამუშაო ჯგუფის წევრი (20 ივლისი, 2023, ბ26.26232012) და ა(ა)იპ „თელავის მუნიციპალიტეტის მწეოთა და უპოვართა სამსახურის“ უფასო კვების სერვისით მოსარგებლეთა სამიზნე ჯგუფებისა და კრიტერიუმების განსაზღვრის მიზნით შექმნილი დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი (2023 წლის 13 ივლისი, ბ26. 2623194001). ასევე, ვიყავი 1 თემატური მოკვლევის ჯგუფის წევრი, რომელმაც იმუშავა ქ. თელავში საჯარო ტრანსპორტის გაჩერებების და პარკირების საკითხებზე.

- ვარ გენდერული საბჭოს წევრი და გენდერული საბჭოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებისას მონაწილეობა მივიღე 4 გასვლით შეხვედრაში, რომელიც ითვალისწინებდა კიბერუსაფრთხოების შესახებ მშობელთა ინფორმირებას, ასევე ვიმუშავე სოფლად მცხოვრები ქალების დღესთან დაკავშირებით საინფორმაციო კლიპის მომზადებაზე, მოვამზადე დადგენილების პროექტი თელავის მუნიციპალიტეტის საპატოო წოდების და ჯილდოს შემოღების, მინიჭების წესის და საპატოო წოდების სიგელის ფორმაზე.

- ფრაქციის წევრის უფლებამოსილების განხორციელებისას მომზადებულია 1 ქვეპროგრამა 2024 წლის ბიუჯეტში გასათვალისწინებლად;

- 2023 წლის განმავლობაში საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ფარგლებში დასრულებული ვარ 19 შეხვედრას ონლაინ რეჟიმში, 6 ტრენინგს ინტერაქტიულ ფორმატში, მონაწილეობა მივიღე 4 სამუშაო შეხვედრაში.

- ვარ ქართული ოცნების ქალთა ორგანიზაციის კახეთის რეგიონული საბჭოს თავმჯდომარე და ამ უფლებამოსილების განხორციელებისას ვაწარმოე გენდერული ძალადობის წინააღმდეგ აქტიური საინფორმაციო კამპანია, საინფორმაციო კამპანია „ლურჯი მარტის“ ფარგლებში ოჯახის ექიმებისთვის, 8 საინფორმაციო შეხვედრა ქალთა პოლიტიკური გამლიერების მნიშვნელობაზე, საინფორმაციო და სკრინინგ კამპანია „ვარდისფერი ოქტომბერი“;

3. საკრებულოს წევრის სამომავლო გეგმები

თემატური მოკვლევა ნარჩენების მოსაკრებლის ამოღების ადმინისტრირებაზე.

შევსების თარიღი 30. 10. 2023

წარდგენის თარიღი 30. 10. 2023

ხელმოწერა 